კვირა, 30 მაისი, 19 წ. | 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 | კვირა, 30 მაისი, 1904 წ.


გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | [illegible] ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | [illegible] ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | [illegible] ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | [illegible] ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | [illegible] ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | [illegible] ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | [illegible] ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | [illegible] ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | [illegible] ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | [illegible] ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | [illegible] ,, |

# ივერია

№ 125 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 125

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

პირველ თითვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია" ჰღირს 6 მან. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთი ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

---


გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

ჯგუფი

ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მომცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

---

ამა წლის 0 მაისს «ბანკის ბაღში» (თავად-აზნაურობის ქარვასლა)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ხორო მუსიკისა, გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და ცეკვა.

ყოველ ვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა,, სახლი № 95). თუ წვიმა იქმნა, სეირნობა გაიმართება 6 ივნისს. (2—უ—1).

---

ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

გამოვიდა & ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

---

ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი გრიგოლ კორინთელთან. (5—1).

---

კვირას, 30 მაისს

მეორედ არის დანიშნული

საზოგადო კრება

საამთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობისა, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. განხილვის საგნები იხილე „კავკაზი" № 121. (3—3)

---

ვიღებ საეკლესიო პანკენელების სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ უანჩაველს. (7—3)

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.


---

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3–6.—3)

---


ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბძლიშვილი კონსტანტინე ელის ბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

მ. ს.ე ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბინინა. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი კ. ბძლიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა. (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასმაიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. გალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. კ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. მ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)


## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

პორტ-არტურის გარშემო.—იაპონელთა ჯარის რიცხვი მანჯურიაში.—ინგლისურ გაზეთების სიხარული.—მიურცშტეგის ხელშეკრულობის საიდუმლო მუხლები.—წვრილი ცნობები.

ჩიფუდგან იწერებიან, იაპონელები პორტ-არტურზე სწრაფად მიდიანო, მეომართა მოწინავე რაზმები ერთმანერთს უახლოვდებიან და ებრძვიან. იაპონელთა მესამე ლაშქარი პორტ-არტურის ახლო გადავა სადმე, შესაძლოა გოლუბინის ყურეშიო. პორტ-არტურის ახლო იაპონელებმა მრავალი თხრილები აღმოაჩინეს და ჩაანგრიეს, ნაღმით მოდებული და ასაფეთქებლად დამზადებული. იაპონელებს მძიმე არტილერია მიაქვთ, ციხის სანგრევ ზარბასნებით. ამ ზარბაზნების დასამკვიდრებლად პორტ-არტურის გარშემო ინჟენერთა ბატალიონიც გადასულა ქვანდუნის ნახევარ-კუნძულზე და აეროსტატებიც მიუტანიათ.

შანჰაის მისული ჩინელები ამბობენ, ვითომც პორტ-არტურში რუსებს 50,000 მეომარი ჰყავდეთ, მაგრამ ეს ცნობა მართალი არ უნდა იყოს. ჰფიქრობენ, მეციხოვნეთა რიცხვი 20,000 არ აღემატებაო. (პეტ. ვედ.).

—

ინგლისელები იმ აზრისანი არიან, რომ პორტ-არტურზე იაპონელები ეხლავე მიიტანენ იერიშსაო. ასევე ჰფიქრობენ ამერიკელებიც. იაპონელები ვერ მოითმენენ, რომ ალყა შემოარტყან ციხე-სიმაგრეს და უცადონ, როდის, გამოელევათ მეციხოვნეთ სურსათი და იძულებულ იქმნებიან იარაღი აიყარონ. პირიქით, იაპონელები არა დანაკარგს არ შეუშინდებიან, ოღონდ ციხე მალე აიღონ. ნანშანის ამღებთ ვერა შეაფერხებსა-რა (ნ. ვ.).

—

ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რუსის ჯარმა, პორტ-არტურისკენ დაბრუნებულმა, გზა და გზა ყოველისფერი შემუსრა, ხიდები და სახლები დაანგრია და ქვანდუნის ნახევარ-კუნძული უდაბნოდ გადააქცია. ჩინელი მეკობრენი პორტ-არტურს გარს უვლიან და, როგორც ყორნები მძოვრს, ისე მოუთმენლად ელიან ციხის აღებას, რომ ხელი მოითბონ. პორტ-არტურსა და ჩიფუს შორის მეკობრეებმა სრულიად მოსპეს ნავოსნობა («ნოვ»).

—

ლონდონში მრავალნაირი უსაფუძვლო ჭორები ვრცელდება მეომართა შესახებ. ამბობენ, ვითომც გენერალ კუროპატკინმა გადასწყვიტა იმოქმედოს იაპონელების წინააღმდეგ. ზოგი ამბობს, ფინ-ხუანჩინისკენ მიდის თავის ჯარითო, ზოგი-კი ამტკიცებს, პორტ-არტურის დასახსნელად გაილაშქრაო

საყურადღებოა, რომ იაპონელთა ცენზურა არაფერს აბეჭდინებს ომის შესახებ. ეს იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ იაპონელები მძიმე საქმეს შესდგომიან და უნდათ მოულოდნელად გაგვაოცონო. (იქვე).

—

ინგლისელები აქებენ იაპონიის ჯარის მართვა-მოწყობილებას: ჩვეულებრივი ჯარი რვა-ათს დღეს მოასწრობს საომრად მოწყობასაო თუ რომ საჭიროება მოითხოვს, ექვს დღეშიც კი შესაძლოა გათავდეს მობილიზაციაო.

გემებზედაც სწრაფად გადაჰყავთ ჯარი. ყველა კაცისათვის გემზე ცალკე საწოლი არის გამზადებული. ყოველ გემს თორმეტიოდე დიდი ნავი აქვს, რომლითაც ნაპირიდგან 60—80 კაცი გადაჰყავთ. ქვეითის ჯარის გარდა ყოველ გემს კავალერია და არტილერიაც მოჰყავს ცხენებითურთ.

სამრად განწყობილ იაპონიის ჯარის დივიზიაში 20,000 მეომარია. ამისათვის პირველ ლაშქარში, რომელიც მეორე, მეთორმეტე და ერთ ერთ გვარდიის დივიზიებისაგან შესდგება, 70,000 მეომარი უნდა იყოს; მეორე ლაშქარში (1, 3, 4 დივიზია, 1 კავალერიისა და 1 არტილერიის ბრიგადები)—70,000 კაცი; მესამე ლაშქარში (5, 10 და 11 დივიზია) 60,000 კაცია და მეოთხე ლაშქარშიც (6,7 და 9 დივიზია, 2 კავალერიისა და 2 არტილერიის ბრიგადები) 70,000 კაცი უნდა იყოს. ამრიგად იაპონელებს მანჯურიაში უნდა ჰყავდეთ გადაყვანილი 270,000 მეომარი («ნ. ვ.»).

—

გერმანული გაზეთი «ფრანქფურტის ცეიტუნგი» უკიჟინებს ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებს, რუსეთის ჯარის გაჭირვებული მდგომარეობა უხარიანთო:

ლეგენდა რუსეთის უძლეველობისა ოცნებაში-და არსებობსო,—ამბობს ერთი გაზეთი. რუსეთი, რომლის კავშირი ამ ათის წლის წინად საფრანგეთს სასიხარულოდ მიახნდა და თითქმის გონებას ურყევდა, რუსეთი, რომლის თანაგრძნობის მოპოვებას ბისმარკი უდგლის ეშმაკურის ხრიკებით სცდილობდა, რუსეთი, რომელიც ჩვენის ინდოეთის ისტორიაში მარად საშიშარ ბობოლად მიგვაჩნდა,—ის რუსეთი აღარ არსებობსო.

ამ სიტყვებით გამოხატული აზრი,—განაგრძობს «ფრანქფურტის ცეიტუნგი», სწორედ იმ გვარივეა, როგორც გერმანულ ჟურნალ-გაზეთების კილვა, ინგლისელების ჯარი რომ ცუდს მდგომარეობაში იყო ბურების ომის დროს. ინგლისის გაზეთები ეხლა სწორედ ისეთსავე სისულელეს სჩადიან რუსეთის შესახებ, როგორსაც თვით ისინი გერმანულ მწერლობას სწამებდნენ ამ ოთხის წლის წინად. ეს ამტკიცებს, რომ ინგლისელებს ისტორიამ ჯერ ვერა ასწავლა-რა და დღესაც რუსეთის მდგომარეობისა არა გაეგებათ-რა («ნოვოსტი»).

—

ავსტრიელთა გაზეთების სიტყვით, მიურცშტეგში რომ ხელშეკრულობა დასდეს რუსეთმა და ავსტრიამ 1903 წელს მაკედონიის რეფორმების გამო, ერთი საყურადღებო მუხლიც ყოფილა ჩართული, რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო და ეხლა კი გამომჟღავნდაო. ხელშეკრულობაში ვითომც ნათქვამია, რომ 1895 წელს რუსეთი გართული იქმნება შორეულ-აღმოსავლეთის საქმეებში, ეს საიდუმლოება იაპონელებმა როგორღაც გაიგეს და ომიც იმისთვის ასტეხეს, რომ რუსეთს დაასწრონ, ვიდრე სამრად მოემზადებოდაო.

იტალიურ გაზეთებს ეს ამბავი ისე სჯერათ, რომ სცდილობენ გაიგონ, ვინ გასცა ეს საიდუმლოება, ვინ აცნობა იაპონელებს? რასაკვირველია, პასუხს ვერსაიდგან მიიღებენ.

ამავე ხელშეკრულობაში ვითომ ნათქვამია კიდევ, რომ 1905 წელს ავსტრია-უნგრეთმა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე უნდა იმოქმედოსო. ხოლო, რადგან რუსეთ-იაპონიის ომი ერთის წლით ადრე დაიწყო, ავსტრია-უნგრეთიც იძულებულია ეხლავე შეუდგეს ბალკანეთის საქმეს, ვიდრე რუსეთს ომი არ გაუთავებია ავსტრია შესდგომია კიდეც საქმეს, ხოლო იტალიას პროტესტი გამოუცხადებია და სწორედ ამის გამო უნახავთ ერთმანერთი ავსტრიისა და იტალიის მთავარ-მინისტრებს აბაცში (ნოვოსტი).

# ტფილისი

—

*** მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს, 30 მაისს, „ბანკის ბაღში“ (თავად-აზნაურობის ქარვასლა) «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ იქმნება სეირნობა.

*** ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრებას 27 მაისს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისთვის გადაუდვია 40.000 მანეთი.

*** დღეს, 30 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება ხელოსანთა ამქრის უსტაბაშებისა და დეპუტატებისა ხელოსანთა საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვისა და კიდევ რამდენისამე სხვა საყურადღებო საგნის განსახილველად,

*** გუშინ-წინ, 28 მაისს, დასრულდა ეგზამენები ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში.

*** ამავ დღეს ეგზამენები დასრულდა ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში.

*** პეტერბურგის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი სკოპნისკი დანიშნულ იქმნა ტფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგად.

*** უმაღლესმა მთავრობამ 27 ათასი მანეთი გადასდო ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატებისა და ხაზინების თანხის გასაძლიერებლად.

*** ა. დ. სურენიანცმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, საჰიდრავლიკო საელექტრონო სადგურის აგება მივანდოთ ბელგიის უსახელო საზოგადოებასაო.

*** საათფთიაქოს საქონლით მოვაჭრე ტფილისის ფარმაცევტთა საზოგადოებას განუზრახავს, განყოფილებანი გახსნას ბაქოსა და ბათომში.

*** ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებელში ეგზამენები 5 ივნისს თავდება. ამავ დღეს თავდება ეგზამენები ტფილისის სასულიერო სასწავლებელში.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს თხოვნა მოუვიდა სენაკის მაზრის, სოფელ ბანძის მცხოვრებთაგან. სთხოვენ, ჩვენს სოფელში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დააარსეთო.

*** ამას წინად ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, თავ. გურამიშვილისგან ავჭალაში ადგილი შევიძინოთ წყლის ფილტრების მოსაწყობათაო. გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, ამ დადგენილებას ჯერ-ჯერობით ნუ განახორციელებთო.

*** დღეს, 30 მაისს, ქართულს თეატრში «დრამატიულ ხელოვნების» მოყვარულთა მიერ წარმოდგენილ იქმნება «ყარამანი», ფერია 5 მოქ. და 11 სურათად ვლ. აღნიაშვილისა, ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

*** ტფილისში ერთობ დიდი სიცხეები დაიჭირა და ამტვერდა ჩვენი ქუჩებიც. მართალია, ზოგიერთი დიდი ქუჩები ირწყვება, მაგრამ მომეტებული ნაწილი-კი მიტოვებულია. ამიტომ მგზავრი იძულებულია კოჭებამდე მტვერში იაროს. გოლოვინსკი პროსპექტისა და მიხეილის ქუჩის გარდა, თითქმის ყველა ქუჩები ამ მდგომარეობაშია. ისიც მოსახსენებელია, რომ ზოგიერთი მეეზოვენი მაშინ იწყებენ ქუჩების გვას, როდესაც ხალხი იშლება. საჭიროა ყველა ამაებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარედ ახლად დანიშნულს სენატორს ვ. რ. ზავადსკის ივლისში მოელიან ტფილისში.

*** ტფილისის მედუქნეებს დაეალებული აქვთ, კვირაობით ადრე არ ივაჭრონ, მაგრამ ბევრი არღვევს ამ სავალდებულო დადგენილებას. ამ დღეებში რამდენიმე კაცი იქმნა მიცემული პასუხის გებაში კვირა დღით დუქნის ადრე გაღებისათვის.

*** 6 ივნისს, ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით, ქ. გორში წარმოდგენილ იქმნება «ღალატი».

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულს ენაზე: „Современная дѣйствительность и культурный идеалъ“, ტრიფონ ჯაფარიძისა.

## ლექსი,

თქმული აკაკის მიერ მიცვალებულის საფლავზე

**პ. უმიკაშვილი**

—

იმ თავიდან ამ ბოლომდე
სულ სწორი გზით მიმავალი
გაქრა, ვისაც საამქვეყნო
მოხდილი აქვს წმინდა ვალი.

—

თაყვანსა ვსცემ და ვადიდებ!..
იმას ვეტყვი «მამულიშვილს»,
საეროვნო ტრაპეზზე ვინც
უბიწოდ სდებს მცირესაც წვლილს.

—

რაც კი შესძლო, სულით, გულით
მოგვაწოდა მოძმედ საზრდო
და სამშობლოს სიყვარული
საანდერძოდ ჩვენ წინ დასდო.

—

ჩვეულებრივ მაღალ სიტყვით
არ ვადარებთ მზე და მთვარეს!..
ვერც შევამკობთ ოქრო-ვერცხლით
მაგის კუბოს და სამარეს!..

—

სულ ფუჭია!... სათვალთ მაქცო
გვირგვინები და დიდება.
ვინც ღირსია, თავისთავად
ღვაწლი შუქათ დაადგება!

—

და შენც, ჩვენო საყვარელო,
სახსოვარო, ძმაო პეტრე!
აქ ყველასთან ვალმოხდილმა
იქ წინაპართ შეგვავედრე,

—

რომ ჩაგვბერონ მაღლით ძალი
ჩვენ აქ, დღეს გულგატეხილებს,
და გვასწავლონ სამშობლოსთვის
თავ-დადება შვილის-შვილებს.

აკაკი.

## მეჩექმე ხელოსანთა აღწერის გამო.

—

როგორც გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, ხელოსანთა დეპუტატებსა ჰქონდათ დავალებული აეწერნათ და დანამდვილებითი სია წარედგინათ გამგეობისათვის, რამდენი მოწმობიანია (ატესტატიანი), რამდენი უმოწმობო. მათ შორის რამდენი ქარგალია და რამდენი შეგირდი. ეს აღწერა გავინაწილეთ და ყველამ თავ-თავისი პოლიციის განყოფილება ავირჩიეთ. მე და ჩემს სამს ამხანაგს 9-რე პოლიციის განყოფილება გვხვდა წილად და დავიწყეთ კიდეც აღწერა 24 აპრილიდან და გავათავეთ 27 აპრილს, რადგან დღეში სამიდან ოთხ საათზედ მეტს არ დავდიოდით.

სხვისა არ ვიცი და მე კი ამ აწერამ ბევრი რამ სამწუხარ-სასაცილო დამანახვა. სამწუხარო ის იყო, რომ ზოგიერთა მოხუცი თუ შუა ხნის ხელოსნები ისეთ ადგილებში შემძვრალან, რომ რიგიანი პატრონი ძაღლს არ დაამყოფებს არც ერთი საათით. მისი ავლადიდება, ძალიანი უნდა, ორი მანეთი დააფასოს მყიდველ-გამყიდველმა. მისი საქონელი თუ სამოსელს დაუძახებთ, ბუხრის საწმენდ ფალასებს უფრო წაავავს, მკერდი ღია, კისერ ჩაჟანგებული, ოთხის თვალით ქუჩისაკენ გაიყურება იმ აზრით, ეგება ორ შაურიანი ნაჭერი შამაიტანოს ვინმე, რომ კუჭი დავიკმაყოფილო ან მე ან ჩემმა ბაღანებმაო. ზოგი ერთების ნახვამ ისე მისძრა-მოსძრა ჩემი გული, რომ ძალა-უნებურად გამოველაპარაკე და ვკითხე, რითი მიდიან იოლად. ერთმა კედელზედ ჩამოკიდებულ ხელსახოცზედ მიმიშვირა ხელი და მითხრა, ნახე და მიჰხვდებიო. ხელსახოცი პურის ნახორხლებით იყო სავსე. მივხვდი, რაშიაც იყო საქმე და გულ მოკლული უსიტყვოდ გამოვბრუნდი და ვწყევლიდი სახელოსნო გამგეობის გულ გრილობას.

მოდი, ანკი ნუ დასწყევლი მაშინ, როდესაც მის გვერდზედვე გუშინდელ ხელობა მოუმთავრებელ ღლაპს გამოუღია დუქანი, სამი და ოთხი ქარგალ შეგირდი ჩაუმწკრივებია, აფერადებულ ვივესკებით დაუმშვენებია, ყოველს საქმეს წარბ შეუხრელად ჰკიდებს ხელს, წაღმა აკეთებს თუ უკუღმა, არ ესმის. დიაღ, ნამდვილ ხელოსანს პირიდან ლუკმას აცლის და ამისთვის არც ატესტატი, არც გილდი, არც ფლავი და არც ჩლავი. პირ იქით, დღე დღეზედ ელის დამხობას თავის გამგეობისას იმ მოსაზრებით, რომ ვითომ უფრო არხეინად იჩინდრიკებს.

არიან ისეთებიც, რომლებსაც სრულიად არა გაეგებათ-რა. «ვივესკები» ევროპიულ მეჩექმეებისა აქვთ ჩამოკიდებულები და არავითარ საქმეს არ უფრთხიან, რის გამოც ყოველ დღე აყალ-მაყალია მის ქარხანაში. ეს უქნარა ხალხი არც ერთ ამქარს არ ეკუთვნის. მეჩექმეთაგანი მივა ვინმე მებაშმაკეს ირქმევს, მებაშმაკეთაგანი მივა ვინმე და ხარაზათ ინათლება. რასაკვირველია, ყველაფერს იკისრებს, რაკი პატრონი და ყურის მგდებელი არა ვინა ჰყავს.

მე ეს ოსტატები სრულიად გამოვსტოვე აუწერელნი, რადგან ღირსნი არ არიან არც ოსტატებისა, არც ქარგლებისა, და შეგირდებისა-კი რა მოგახსენოთ. ამათთვის თავათ იზრუნეს სახელოსნო გამგეობამ.

ჩემ აღწერის კიაში მოჰყვა ას ოცდა თვრამეტი სული. მათ შორის 22 ატესტატიანია, 29 უატესტატო, 49 ქარგალია და 38 შეგირდია. ზოგი ერთ ქარხანაში 10—15 ქარგალი შეგირდი ავწერე, შეკვეთილ საქმეზედ მომუშავენი. ეს დიდი ამბავია, დიდი სახეირო საქმეა, მაგრამ ეს კი უკანონობაა, რომ გადასახადს იმასვე იხდის, რასაც ერთად ერთი ხელ-მოკლე ატესტატანი ოსტატი. არიან ისეთი, ფაბრიკათ წოდებული, ქარხნები (მაგალითად, ადილხანოვისა, ფარსადანოვისა და მრავალ სხვათა), რომელნიც მუშტარსაცა და ქარგალ-შეგირდებსაც ნაღებს ჰხდიან, ჯიბესა და უბეს ესენი ისქელებენ და ბოლოს ძალღონე გამოცლილებსა და დაუძლურებულებს ერთსაცა და მეორესაც ჩვენ გადმოგვიყრიან შესანახ-დასამარხად. არამც თუ თითონ იხდიან რასმე ამქრის სასარგებლოდ, ქარგლებსაც კი აქეზებენ, რომ არაფერი არა ვამოიღენ რა თავიანთ თავის სასარგებლოდ. ეს საქციელი, რასაკვირელია, კანონისა და ამქრის გადალახვაა, მაგრამ თუ მოინდომა მოურავმა, კანონი და ხალხი ადვილი გადასახადი არ არის. მხოლოდ მარტო აღება არ არის საქმე, საქმე ის არის, ეს ანაღები ფული გაჭირვებისა და დაუძლურების დღისათვის შეუნახოს, პირველ ყოვლისა საჭიროა ეს დაქუცმატებული მეჩექმე-მებაშმაკე-მეჩუსტეები შეაერთოს, რომ შემოსავალმა იმატოს და გასავალმა კი იკლოს. როცა ეს მოხერხდება, ამქრული წესწყობილებაც თავის წესსა და რიგს დაიჭერს. ის არა ოსტატებიც თავისით ამოიძუებენ კუდს. როდესაც ქარგლისა, შეგირდის შენახვას და «ვივესკის» გამოკიდების ნება აღარ ექმნება, მე ვგონებ, რომ ყოველი რიგიანი მცოდნე ოსტაციც სიხარულით შემოგვიერთდება, რადგანაც ეს მეტ-ხორცი ქუჩის ფინაჩები აიგვებიან, რომელნიც დღიურ ლუკმას უწყობენ მცოდნე და პატიოსან ოსტატს. ვგონებ, აღარც გადასახადის გადახდა გაუძნელდება, როგორც დღეს. ისიც სათქმელია, რომ ქალაქში ერთობ გაიწივ-გამოიწია და ჩვენი გამგეობა ვეღარა სწვდება, რომ ყველას ბეჯითად ადევნოს თვალყური, როგორც ამ ლაგაზ წაყრილებს, ისე გაჭირვებულ-დაუძლურებულთ, მაშა-

# ფელეტონი

—

## შურდული.

ჩემი პირველი «შურდული» დინამიტ-შურდულა გამოდგა. მე, ღმერთია გულთა მხილავი, მარტო ერთი მხრით გავკარ-გავაზუზუნე, მაგრამ ჩემი გატყორცნილი კენჭი გზაში გასკდა, აქეთ-იქით, ყოველ კუთხით გადაცვენილ-გადმოცვენილა, ბევრს დატაკებია ჩემდა უნებურად და მე კი, ყოვლად ალალ-მართალ კაცს, საყვედურს მითვლიან. «თუ არ გინდოდეს ჭირიო, ყურში შეირჭე ჩხირიო», რომ იტყვიან, ეს არის!

ჩავვარდი ჭირში, მაგრამ ამისთანა ჭირებში ათასჯერ ვარ გამოვლილი და ისე შევეჩვიე, რომ, არა თუ აღარად ვაგდებ, პირ-იქით, კიდეც ვეტანები. აბა?!... ტყვილად კი არ არის ნათქვამი: «უსარგებლო ლხინს, სარგებლიანი ჭირი სჯობიაო». და მართლაც, ხან და ხან, ათასში კი ერთხელ, მოხდება ხოლმე, ზოგიერთი ჭირის მოხდა სამუდამოდ გამოამრთელებს ხოლმე კაცს. და ეგებ ესეც ჭირის ბრალი იყოს, რომ მე ამდენი ხანია ჭირი თავიდგან ვერ ამიცდენია, ერთიდან მეორეში გადავდივარ და ჯერ კიდევ ჰარმაკათა ვარ?! და ისინი კი, ვინაც ლხინში და ქეიფში უტარებია დღე და სოფელი, ყურებ ჩამოყრილი დადიან და მე მეკითხებიან: რა არის, რომ არა ბერდებიო? ჰმმმ! სიბერე რას მიქვიან?! ნეტავი სხვა არა მაწუხებდეს რა და იმას როგორ შევუშინდები? მე კი კარგად ვიყო და დრომ, რამდენიც ენებოს, ირბინოს წინ და უკან! ფულარია ექიმებმა ბევრიც რო მიკაკუნონ თავსა და გულში სამეცნიეროთ ანუ, უფრო სწორე ვსთქვათ, ფულის საჭედი კვერი, და მაფრთხილონ, მაინც არ დავუჯერებ იმათს ნათქვამს. ჯერ გულს მაგრათა ვგრძნობ და თავსაც მტკიცედ, ისე სწორედ, როგორც ახალგარდობისას.

მართალია, კუჭში კი შემეპარა ის რაღაც ოხერი სიბერეა, მაგრამ კუჭზე სხვიმის როდის მიზრუნია, რომ ახლა ვიტეხო თავი? ავიტან მის უკუღმართობასაც და, თუ გამიძნელდა, მაშინ მივმართავ ერთსა და ერთს ჩემ მეგობარ ახალგაზრდა ექიმთაგანს და ის გააკმედიებს ხმას... შეაშინებს! მორჩა-გათავდა!

ჩემს საკუთარ ლექსიკონში სიტყვა „ჭირი“ ჯერ არ ჩაწერილა საზოგადოდ! და კერძოთ ხომ კალმით გამოწვეული ჭირი პატარა ჭირუკათაც არ მიმაჩნია!... „ვინც რა უნდა სთქვას, ბუჭულამ კი ფქვასო“, ასე უთქვამს მეწისქვილეს. მეც იმასვე გავიმეორებ.

ჩემი გრძნობა-გონება არასოდეს ქვეყნის ფეხის ხმასა და მითქმა-მოქთმისათვის არ ამიყოლებია და ვერც ავაყოლებ. მწერლობაშიაც ჩემებურობას ვადგივარ. აკადემიური მწერლობა, სადაც სიტყვები ჩამოსხმულია, აზრ-გადაჭრალი და თვით სტატიაც ყველასათვის თანასწორად საგულისხმო, მომწონს! მაგრამ ამას მაინც «სარკე-თქმული» ანუ «აბდ-უბდა აკაკური» მირჩევნია... ამ ორ გვარ სკოლაში ისეთივე განსხვავებაა, როგორც მხატვრობასა და უბრალო სარკის მოხელობაში.

მხატვარი აირჩევს ერთს ვისმე და გადაიღებს მის სახეს. ვინცა ჰნახავს, თუ ნაცნობია, იტყვის: ეს სურათი ამა და ამ ადამიანისა არისო! მე ვარო და ან სხვა ვინმეო,--ვეღარ იტყვის. მესარკის ნახელავი სარკე კი სულ სხვა არის: უბრალო ბროლის ფიქალია, ზედ სულაც არა ჰხატია რა, მაგრამ, ვინც კი ხელში აიღებს და ჩაიხედავს, თავის თავს დაინახავს... ისინიც კი, ვინც მესარკეს თავის დღეშიაც არ უნახავს და ვერცა ჰნახავს. დიაღ, ყველა თავის თავს დაინახვს და მერე რა ნაირის სისწრაფით? ლამაზი ლამაზად და მახინჯი—მახინჯად! და მიტომაც ლამაზებს მოსწონთ მესარკეცა და მისი ხელობაც და მახინჯები კი წუნსა სდებენ... მაგრამ რა მესარკის ბრალია?!.. ნუ დაივიწყებთ, რომ ლამაზებზე ულამაზოები მეტნი არიან ქვეყნად და მიტომაც მესარკესა და მის ნაწარმოებ სარკესაც მეტი წუნის მდებელი ჰყავს, თუმცა სრულად უარის ყოფას ვერც ეს წუნიაებები ახერხებენ და ჩუმ ჩუმათ იცქირებიან ხოლმე მათგან შერისხულ სარკის გულში, რომ ცოტა მაინც რამ გაისწორონ!..

სწორედ ამგვარი ბედი გვაქვს მეცა და ჩემს აკაკურსაცა! ორივეს ამან მოგვცა სახელი და წაგვართვა სახრავი! მაგრამ ჩვენ არც ერთი არ შეგვიმჩნევია!.. უიმისოდაც იოლას მივდივართ!.. იმ ერთის თქმისა არ იყოს: «სანამ გვიჭრის ხანჯალიო, ნუ გგონივართ ჯანჯალიო»! სანამ კალამი არ მიმტყუნებს, გამოვაბამ ზედ «შურდულს», გავკრავ ჩემებურად, აკაკურად, უმიზნოდ და ყარყუმები თავის თავად გამოჰყოფენ თავს სოროებიდან.

კიდევ რამდენიმე სიტყვა „აკაკურზე“. როგორც კვერცხი და დედალი არიან უცნაურად ერთმანეთზე გადაბმული და არ იცი, რომელი რომლის ნაშობია ან მშობელი: კვერცხი ქათმის დადებული, თუ ქათამი კვერცხის გამონაჩეკი და ერთი მეორეზედ წინად რომელი მათგანი იყო, ისე სწორედ, მე თვითონაც აღარა ვიცი რა ჩემის კალმისა და აკაკურის შესახებ: რომელი რომელს მოჰყვა? კალამი აკაკურს, თუ აკაკური კალამს? ვიცი მხოლოდ მარტო მათი „რაობა“! აკაკური, ხომ აგიხსენით, თუ რაც არის? ახლა კალამზედაც მოგა-სენებთ: ჩემი კალამი ბატის ფრთისაა —ფრინველის! და მიტომაც მსუბუქი აღმა-მფრენი და ხან და ხან ჩიტივითაც მოჭიკჭიკე!.. ტარი ძაღლის ძვლისა აქვს და მისი ბრალია, რომ ყეფა-ღრენაც ეხერხება!.. მაგრამ ორივე კი, ყეფაცა და ჭიკჭიკიც აკაკურია—«აბდაუბდა-გადასკუპდა»!.. უმიზნო, მაგრამ მრავალ-მიზნიანი! არაფრის მთქმელი, მაგრამ ბევრის კი შემსმენელი!..

უნდა გამოვტყდე და აღვიარო, რომ ბევრ კეკლუცს უთქვამს ჩემთვის: მივხვდი, რომ შენი ჭიკჭიკი ჩემ გასაგონად იყო დანიშნულიო, ვხედავ, რომ ამ ლექსში მე გყავარ გამოსახულიო და სხვანი— ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე ლექსის გამოისობით, ცალ განი ერთს!.. მარტო ერთს უთქვამს? რატომ აისა და ასს არა?.. მეც ენა ჩამვარდნია და ეღარა მითქვამსრა, მიკისრია. ეს კიდევ არაფერი!.. მადლობა ღმერთს, სასიამოვნო ასატანი იყო.

მაგრამ რაც ყეფის გულისთვის გადამხდია, როცა „ცხელ-ცხელ—ამბებს“ ვსწერდი ხოლმე, მაშინ, ის კი ღმერთმა შეინახოს. ერთხელ, ამ ორმოცის წლის წინად, ქუთაისში თავად-აზნაურობის არჩევანს შევუყეფე. იმ აბდა-უბდა ლექსს სახელად «პირუტყვების კენჭის ყრა» ერქვა. აღარც კი მახსოვს, მყავდა ვინმე პირადად ამომიზნული იმ დასახლებულ პირებში, თუ ისე საზოგადო ტიპებად გამოვხატე. მაგრამ ის კი აღარ დამავიწყდება, რომ თითო დასახელებულზე ასსაზე მეტი წამოატყდა ჩემ კალმის წვერს.

სადამე, საჭიროა პოლიციის ყველა განყოფილებაში თითო-ოროლა კაცი იყოლიოს ყოველისავე წეს-რიგისათვის თვალ-ყურის სადევნებლად. სირცხვილიც არის, მეოცე საუკუნეში კაცმა ისე ჩაჰყოს თავი, რომ ხალხის გაჭირვება-დალხინებისათვის არა იზრუნეს-რა.

ს. ბე შვილი.

## ჩვენებური ამბები

**ქუთაისი** და **ხონი**. ქვემო-იმერეთის სოფელთა შორის ეკონომიურ განვითარებაში, სწავლა-განათლების განმტკიცებაში თითქმის თვალსაჩინო და უპირველესი ადგილი უჭირავს ს. «ხონს». ვის არ გაუგონია ხონი და ვინ არ დამტკბარა ამ პატარა სოფლის მკვიდრის ილია-ხონელის ნაწერებით! დიაღ, ვინც იცნობდა ილია ხონელს, მას ეცოდინება ის კერაც, რომელმაც წარმოშობა აწ განსვენებული ენა-მახვილი და უსამართლობის წინ ქედ დაუხრელი პუბლიცისტი. ხონი თანამედროვე ცხოვრების გზაზეა გამოსული. ხონელებს სწავლის მნიშვნელობა კარგად შეუგნიათ და პატრიარქალურ ცხოვრებას დიდი ხანია კლანჭებიდან გამოძრომიან; ხონი ქართველების «მანჩესტერია» ვაჭრობაში და ალებ-მიცემობაში; ის დღეს სავაჭრო ცენტრად ითვლება ქვემო-იმერეთში.—აუარებელი დოვლათი ქვემო-იმერთა დ. ხონის ბაზარში საღდება, იცვლება, იყიდება. აუარებელი ხალხი აწყდება ხონის მრავალ რიცხოვან სკოლებს სწავლა-განათლების მისაღებად.

დიაღ, ხონი სწავლით, ნივთიერად წელში გამაგრდა და გაუტოლდა თითქმის ქუთაისს და სამტრედიას!—ხონმა, როგორც-კი შედგა ფეხი განვითარების პირველ საფეხურზედ, სწრაფად მიმოსვლა გააჩაღა ეკონომიურად განვითარებულ დაბებსა და ქალაქებთან.—პირველ ხანებში მიმოსვლა უგზოობის, დილიჟანსების სიმცირის გამო ძვირი იყო. საჭიროება არ ითხოვდა გზების შეკეთებას, დილიჟანსების გამრავლებას, მაგრამ დროთა ბრუნვამ თან-და-თან განამტკიცა სოფლებს და ქალაქს შორის დამოკიდებულება და მოითხოვა დილიჟანსების გამრავლება, გზების შეკეთება, მგზავრთა გამრავლება; ქალაქელებმა, განსაკუთრებით «ვაჭრებმა» თავის საქონლის გასასაღებლად აირჩიეს დაწინაურებული ქვემო-იმერეთის სოფელი «ხონი»; - სოფლებმაც თავისი ნაწარმოების გასასაღებლად, სწავლა-განათლების მისაღებად, ხელოვნების სიდიადის საცქერად მიაშურეს დ. სამტრედიას *) და განსაკუთრებით ჩვენს ძველ ქალაქ ქუთაისს. ამ გვარად მოთხოვნილებამ წარმოშობა ხალისი გზების გაკეთებისა, დილიჟანსების გამრავლებისა.—თუ წინად ერთი ან ორი «დილიჟანსი» მიხრიგინებდა ქუთაისს და ხონს შუა, დღეს ათი-თორმეტი დილიჟანსი მიმოდის და კიდევ ვერ იტევს მიმავალთა.—ამ ჟამად არც მრავალ-რიცხოვანმა დილიჟანსებმა დააკმაყოფილა მიმომსვლელთა წადილი, ვინაიდგან დილიჟნით მგზავრობა ბევრ დროს უკარგავს მგზავრებსა (ხონიდამ-ქუთაისამდე, დაახლოვებით, 4 საათს ჩადის დილიჟანსი) და მოისურვეს «ავტომობილის» გამართვა, რომელიც თითო წასვლას მოანდომებს არა უმეტესს საათ ნახევრისა. წადილი უკვე განახორციელეს, «ავტომობილი» მზად არის და ამ დღეებში ქუთაისს და ხონს შუა «ავტომობილი» იწყებს მგზავრობას.—ასე და ამ გვარად ცხოვრების დღითი-დღე წინსვლამ განავითარა დამოკიდებულება ხონელებსა და ქუთათურთ შორის.

ქაუთათურ ებრაელთა სავაჭრო მოედანი ხონია: აქ ყიდულობენ: შალს, წინდებს, ნაქსოვებს, ხელთათმანებს, ქუდებს, კვერცხს, ქათამს, შინაურ ცხოველებს და ყოველსავე ამას ორიოდე გროშის მოგებით ჰყიდიან რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში; ხონელებისათვის აუცილებელი საჭიროა ქუთაისი, სადაც კლასიკური გიმნაზია, რეალური და ქალების საშუალო სასწავლებლებია. აქ ზრდიან თავიანთ შვილებს ხონის შეძლებულნი მკვიდრნი, აქ იზრდება და იფურჩქნება ხონის ახალგაზრდობა უმაღლეს მეცნიერების ტაძარში შესასვლელად; ხონელი ინტელიგენტი, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს პროვინციის მიდუნებული ცხოვრება, ქალაქებისაკენ მიისწრაფის.

ამ რამოდენსამე წლის წინად ხონელებმა გამართეს სკოლები, რაც ზოგიერთ ჩვენს ქალაქებს არ აბადიათ. ხონელებს განუზრახავთ ამ ჟამად ქუჩების შეკეთება, ბულვრის გალამაზება, თეატრის აგება, ხონის «ელექტრონით» განათება. იმედი გვაქვს, ხონელები ქალაქ ქუთაისს არ ჩამორჩებიან.

ილია ბახტაძე.

*) სამტრედიაში ხონელები მხოლოდ იმისათვის მიდიან, რომ თავიანთი ნაწარმოები გაგზავნონ სხვა ქალაქებში, ან თვითონ წავიდეს სადმე სამტრედიიდან.

ი. ბ.

—

სოფ. **ზემო ალვანი**. (თელავის მაზრა). ცხვარი დაიძრა შირაქიდან და მოვიდა კიდეც რამდენიმე. მაგრამ სამწუხარო და სავალალო ამბები მოაქვთ. ჯერ უამინდობამ და ავდრებმა შეგვაწუხათ და მემრე ქურდ ბაცაცებმა. მგელი თუ ცხვარს იტაცებს, ესენი ცხენებს იტაცებენ უშიშრად. ამ თვის 13 სოფელ მარხანასის თავში ბინიდან ცხენი მოსტაცეს ილიკო ასათიშვილსა. მოვარდა მგელივით, გადაახტა ცხენსა და გაუდგა გზასა. აქეთ ვეცით იქით, მაგრამ რას გავაწყობდით? უიარაღო კაცნი იარაღიან ღამის სტუმარს ვერ გაუმასპინძლდით. ჩვენდა სამწუხაროდ, იარაღი ჩვენ აღარ შეგვარჩინეს. იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ურიას ძაღლი დაედევნა დასაკბენათ, ურია ქვას დეტანა აალებათ, მაგრამ გაყინული იყო ქვა, მაღლა აიხედა და სთქვა, შე დალოცვილო ღმერთო, ქვა დაგიბამს და ძაღლი აგიშვიაო.

იმისი არ იყოს, რავქნათ, ჩვენ იარაღი აგვყარეს და ისინი იარაღით დაბრძანდებიან.

მეორე სამწუხარო ამბავი: თუში მოგვიკლეს სოფელ ხორხილში. იმისთანა ვაჟკაცი ბევრი არ იყო თუშეთში; პატიოსანი, მშვიდი და გულ-კეთილი, ახოვანი. გამოასალმეს უდროვოდ წუთი სოფელს ყმაწვილი, ჰაბუკი კაცი 26—27 წლისა. საქმე ასე გახლდათ: სათავადო ადგილში ჰყოლოდა ცხვარი საბალახოთ და ყორუხში გადასვლოდა. ამაზედ ლაპარაკი მოსვლოდათ მეცხვარეს და სოფლელებს. არც აელოთ და არც დაელოთ, მიეშვირათ თოფი და გამოესალმებინათ წუთი სოფელს. ისე ცხვარი არ ჩაივლის და არ ამოივლის ამ დასაქცევ ქვეყანაში, რომ ერთი თუში არ იმსხვერპლონ ხორხელებმა.

ერთი ყმაწვილი კაცი წარსულ შემოდგომაზედ იმსხვერპლეს, საწყალი, წვრილშვილი. ერთ უბედურებაში ვართ ამათგანა. როცა გაიგებენ, ცხვარი მოდისო, დამწკვრივდებიან გზის პირას მშიერი მგლებივით ხროვა-ხროვა და, თუ ერთი ცხვარი გადასცდა გზასა, ვაი ჩვენი ბრალი, მაშინვე ან კეტი და ან თოფი დიაცურათ, მიპარვით. მემცხვარე რომ ცხვარს გაუვლის, ისინი კიდევ უკანიდან დათხლეშენ კეტსა ანუ თოფს.

შირაქიდან დამოკიდებული ვიდრე მთამდე არ არის მოსვენება, თვინიერ შუამთის მონასტრის ადგილებისა, სადაც ერთი დღე, თუ გაჭირებაა ვთხოვთ, ვისიც ჯერ არის, ერთ დღესაც ვრჩებით. უშფოთველად დ უდარდელად ამოვისუნთქამთ ხოლმე. მერე ისევ გაუდგებით გზასა და მიმინოსაგან შეშინებულ მწყერივით ვინაბებით.

ამინდები ძალიან ცუდია. 10 დღე ცივზე კოჭამდის თოვლი იყო. რამდენსამე ფარას მოასწრო და ცოტ-ცოტა კიდეც დააზიანა. ორი დღე არის, კაი ამინდი დგა.

ყანო ლამაზიშვილი.

## ნარკვევი

ბ-ნი მენშიკოვი სწერს «ნოვ. ვრ.»-ში:

ჩვენი საერო აგებულება მოშლილია, ავად არის. მაშ, ვისაც რით შეგვიძლიან, მივეშველოთ, რომ გავამრთელოთ, გუნებაზედ დავაყენოთ, ძალ-ღონე აღვუდგინოთ. როგორც სხვა უკან ჩამორჩენილ სახელმწიფოებშიაც მომხდარა, აქაც ორ-სამ აღფრთოვანებულ თაობის გამრჯელობა საკმაოა, რომ ერი საფრთხეს გადარჩეს, უბედურ მდგომარეობიდან გამოვიდეს. საჭიროა ნიჭიერი, გაბედული კაცები. არიან კიდეც ამისთანა კაცები, ბევრნი არიან, იქნება უფრო მეტიც, ვიდრე საჭიროა, მაგრამ უნდა გზა მიეცეს ამ კაცებს. საჭიროა, რომ სახელმწიფო ცენტრებს, როგორც სისხლი ტვინს, გამუდმებით ეტანებოდეს ახალი ტალღა ენერგიისა და ნიჭიერებისა. საჭიროა, რომ უმოქმედო, უგზო მუშაობით მოუძლურებული ელემენტები მალე შორდებოდეს საზოგადოებრივს მანქანას და არ უშლიდეს მის მოძრაობას. საჭიროა, რომ გრძელი მწკრივი იმ თაობათა, რომელნიც მიჩვეულნი არიან ქადაგების ბლაჭნას, ფარდასავით არ აფარებოდეს წინ ერს, არ აღამბლავებდეს თვისას უმეცრებითა და მიმომწვლილველობით, იმედ-დაკარგულობით ერის რწმენას და უნარს სიცოცხლისას. ომი იაპონიასთან თავის თავად დიდ მძიმე განსაცდელია, მაგრამ უფრო უარესი შიში მით მოგველის, რომ გამომჟღავნდა, გამოცხადდა ჩვენი ზნეობრივი, მორალური სისუსტე. ვერას გვიშველის დაუდევრობა მაშინ, როცა საჭიროა ასი ყური და თვალი, ათასგვარი შორს მჭვრეტელობა; ვერას გვიშველის პესიმიზმი ანუ კატო-ძულება მაშინ, როცა საჭიროა გაცხარებული საქმიანობა, გამრჯელობა; ვერას გვიშველის ეჭვი, როცა ბუმბერაზობაა გამართული რუსეთსა და იაპონიას შორის; რას მოგვიტანს მერყეობა და ყურების ჩამოყრა, როცა რკინის შეუდრეკლობაა საჭირო?!.. ბოლოსა და ბოლოს ის გამოდის, რომ, სამწუხაროდ, მომზადება არ არის, არამც თუ ქონებრივი, არამედ მორალური. ეს სახუმარო საქმე არ არის; ეს საფრთხეზედ კიდევ უფრო უარესია; ეს სიდამბლავეა, მოჩლუნგებაა სულისა. ჩინელების მოუმზადებლობა ესოდენ დიდი იყო, რომ ზარბაზნები დაიბარეს ევროპიდან, ხოლო ყუმბარები ხისა დაამზადეს, შეღებეს შავად და დაახროვეს მრავლად. ეს ძრიელ შეაშინებს მტერსაო. ჩვენ ჩინელები არა ვართ, მაგრამ, თუ გვინდა ჩინელებად არასოდეს არ გადავიქცეთ, საჭიროა განსაკუთრებული მხნეობა გამოვიჩინოთ და ღონისძიება ვიღონოთ საზოგადოებრივ კიბის ყოველ საფეხურზედ მდგომთა. საჭიროა ცოტა მეტი მხნელი სისასტიკე, მეტი სიმართლე და, ნება მიბოძეთ, გულახდით მოგახსენოთ, მეტი თავისუფლება. ისე ხშირად ვიბრძვი იმათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტად ჰხმარობს თავისუფლებას, რომ ვერავინ დამწამებს, ვითომ კერპად მაქვს იგი მომხდარი. მაგრამ ვგრძნობ, რომ რადაც უძვირფასესი რამ, რაღაც ჯადოქრული ძალა, ძალა ყოვლის-შემძლებელი, რასაც შეუძლიან მოგვანიჭოს ბედნიერება, შებოჭილია ჩვენში და აი, სწორედ აქ არის საჭირო ახლა მაინც პატარა თავისუფლად ამოსუნთქვის მოხერხება. მშვიდობიანობის დროს ამ საჭიროებას ისე ვერა ვხედავთ, მაგრამ ამ დღევანდელ საყოველთაო სულის შფოთვასაც ხომ თავისი მნიშვნელობა აქვს და ანგარიში უნდა გაეწიოს?! მერწმუნეთ, დიდი, მეტად დიდი ისტორიული ღვაწლი მოგველის. სახელმწიფო დროშამ რომ ლელო გაიტანოს, საჭიროა არა მარტო რიცხვ-მრავალი ერი, არამედ ნიჭიერი საზოგადოებაც, არა მარტო წოდება „ქადაგების მბლაჯნელთა“, არამედ აღფრთოვანებით მოქმედი და მოწადმართეც. დღეგმირულ საქმისადმი მიგვიწოდებს ბედი. დასაცველ იარაღად საჭიროა ჩვენთვის ახალი საზოგადოებრივი ფსიხოლოგია. ეს ფსიხოლოგია იქმნება უფრო საჭიროა, ვიდრე ტყვიის-მფრქვევი თოფები და წყალქვეშ მავალი ნავები.

.................

## შემოწირულებანი

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგად.» სასარგებლოდ შესწირა.

ქ. ანიკო ჩაჩიბაიამ—ორი საფერფლე, ორი ვაზა ფაიფურისა, ერთი ფინჯანი თავის თეფშით, ერთი ჩაის ყუთი, ერთი მარაო, ერთი წყვილი ჩულქი, ერთი აბრეშუმის ხელსახოცი; ივ. მგალობლიშვილმა—ერთი მანეთი; თ. გრ. არღუთინსკიმ—ორი მანეთი.

## დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

28 მაისი.

**მუკდენი.** იაპონიის ესკადრამ 25-ს მაისს ყუმბარები დაუშინა ზღვის ნაპირს სენიჩენსა და გაი-ჯოუს შორის და განაგრძო 26 და 27 მაისსაც, მაგრამ ზიანი არა მიუყენებია რა. პორტ-არტურს იაპონიის ლაშქარი დაუახლოვდა.

**ბერნი.** ნაშუადღევის 2 საათზედ რუსის ელჩს ჟადოვსკის რევოლვერი ესროლეს. ტყვია თავში მოხვდა. ელჩი თავის ფეხით მოვიდა სასტუმრო «ბერნერჰოფს», სადაც სცხოვრობს. მსროლელი პოლონელია ილნიცკი, რუსის ოფიცრად ნამყოფი, და თვით მივიდა პოლიციაში.

**სოფია.** (მთავრობის ცნობით). მაკედონელთა წარმომადგენელნი აცხადებენ, მატარებელი გევგე-სალონიკის გზაზე მაკედონელებს არ აუფეთქებიათო.

**სტამბოლი.** საფრანგეთის და ინგლისის ელჩები და რუსეთის წარმომადგენელი ურჩევენ პორტას ძალმომრეობა მოსპე აღელვებულ სომხების დამშვიდების საქმეშიო. პორტა დახთანხმდა და პირობაც მისცა.

**ლიაოიანი.** (რეიტ. საა.). საიმაძისთან შეტაკება რომ მოხდა 25 მაისს, რუსების მხრივ მონაწილეობა მიიღო ქვეითის ჯარის ორმა ბატალიონმა, ერთმა ყაზახთა ესკადრონმა და ერთმა ბატარეიამ. იაპონელებს ჰყავდათ ორი პოლკი არტილერიით. რუსებმა 100 კაცი დაჰკარგეს.

**ჩიფუ.** (რეიტ. სააგ.). ჩინელების სიტყვით, იაპონიის ჯარი, რომელშიაც 20,000 კაცი იყო და ფინ-ხუან-ჩენისკენ მიდიოდა, 15 მაისს ისევ დაგუშანს დაბრუნდა.

**ლიაოიანი.** (რეიტ. საა.). გენერალ კუროპატკინი კიდევ ელოდება ახალ ჯარს. როცა კი ეს ჯარი მოვა, მაშინვე გაილაშქრებს. ამბობენ, პორტ-არტურზე იერიში მიიტანეს ზღვიდგან და ხმელეთიდგან ერთსა და იმავე დროსაო. ის კი ნამდვილია, რომ იერიშმა ამაოდ ჩაიარა.

**მუკდენი.** (საკუთ. კორესპ.). გენერალ კუროკის ლაშქრის მოწინავე რაზმები წინ მიდის. ყოველ დღე საიმაძისთან შეტაკება ხდება. ჩვენი მცირე რაზმი იაპონიის ბრიგადას შეებრძოლა და, რადგანაც მტერი უმრავლესი იყო, უკან წამოვიდა.

**ბერნი.** რუსის ელჩის დამჭრელი ინჟენერი ილნიცკია, რომელსაც ორი წელიწადი ბერნში უცხოვრია. ელჩს მიყრუ-

---

ღმერთო ჩემო! ან რად იყო იმ დროს ჩვენში იმდენი მხეცი და ნადირი?.. მიფრინეს წინ, კორტოხი გადმომარბენიეს, რასაკვირველია, ურკინიგზოთ; ჩამოვედი ტფილისში და აქაც ისევ ის დღე დამადგა. თურმე აქაც სწორედ იმ ხანებშივე ყოფილიყო აქაური არჩევნები და მომდგნენ; როგორ გაბედე ჩვენზე მაგ გვარ რამეების წერაო? ღმერთი!... რჯული! ბატონებო! იმ დროს იმერეთში ვიყავი, აქეთი არა გამიგიარა!... მაგრამ ეჰ, ვინ დაგიჯერა: სულელები გგონივართ, რომ ჩვენი თავი ვერ ვიცნოთო? ჩამაბეზღეს აღაბატონებს და მიპირებდენ ყინვარისკენ გახოხორიკებას, მაგრამ, რომ ვიგრძენი, მე თვითონ, ჩემათ შევაფარე თავი ყინვარს და ყეფა-ღრენა კი არც აქიდან დამიკლია... ვერ მომაშლევინეს!...

მაგრამ ეს ვიღას ახსოვს, ეს გადასული ამბები? მეც არ გავიხსენებდი, რომ ახლანდელ «შურდულს» არ მოეგონებია. თითქოს მაშინდელი დრო იყოს, ახლაც რომ მოაქანია ამ «შურდული» კუდი ზოგიერთებს?! და ვის? ვისაც არც კი ვიცნობ!... გამომდგარან და ყვირიან: ვინ გვიბედავს, რომ პერანგის—კერვას გვიძრახავს? ცეცხლს იკიდებენ!.. იტრუსებიან და მათი ნაბღვნევით ჩიტები ბუდეს იკეთებენ.. მე კი, მე მეცინება... რა პერანგიო? ვისი პერანგიო? მე ვის რას დავსდევ? გინდ «პერანგის კერია იყოს და გინდ კერიას პერანგი. უნდა გადაბრუნდეს და უნდა გადმობრუნდეს! მე და ჩემ აკაკურს ამ შურდულობიანობის დროს სულ სხვა საქმე გვაქვს. – «აბდა-უბდური – გადასკუპდური». პატარ-პატარა ამბები.. იგავ არაკები, ზღაპრები, გამოცანები, შაირები და სხვანი. ვახსენებ მაღლა ღმერთსა და მოვჰყვები ზოგიერთსა:

«ცისა და ქვეყნის გამჩენი მამა ღმერთობით ადიდეთო»! გვიბრძანა მოციქულის პირით ქრისტემ და ნება მისი სასოებით სრულდებოდა მამა-პაპათაგან! ჩვენ კი გამოგვეცხადა ანტე-ქრისტეს ვექილი დ ძალას გვატანს, დაივიწყეთ «ღმერთი», «ღორონთი» მოიგონეთო, რომ მერე უფრო ადვილად სულ «პარკი-პარკები» გიყაჭოთ და ვიაბრეშუმოთო!... არავის მოეწონა ეს ამბავი, მაგრამ «ძალა აღმართსა ჰხნავსო». ვიღას რა ჰკითხეს? გაიყვანეს თავისი! მართალი თქმულა: «სადაც გავა-გავაო, კანჭიც გავად გავაო». ახლაც გავიდა კანჭი გავად და სიცრუე—იგავად. მაშინ ითქვა ზღაპარი:

მამა-შვილი მეცხვარე მიდიოდა მთაში. გზაში მესამეც, ვიღაც უცხო წამოეწიათ. უადგილ ადგილას შემოაღამდათ. მამა-შვილმა წმინდა გიორგი ახსენა: «წმინდაო გიორგივ! შენ აგვაცდინე მავნე და ავსულიო!» უცხოს გაეცინა: თქვე სულელებო, მაღლა რომ გიორგის ეპოტინებით, ის არა სჯობს, რომ აქვე დაბლა მავნე სულებს მოუბოდიშოთო? და მოჰყვა წმინდა გიორგიზე ძვირებს. შვილი გაანჩხლდა და უთხრა მამას: მამაჩემო: ჩვენ პატრონ-მფარველზე რომ ასე ლაპარაკობს, რატომ არ გააჩუმებ? ხმას არ ჩააწყვეტიებო? მამამ უპასუხა: არა, შვილო, წმინდა გიორგი ძლიერია, ჩვენი მოხმარება არ ეჭირვება! ის თვითონაც გადაახდევინებსო! მართლაც, არ გაუვლი დიდ-ხანს, რომ უცხოს მხარი ექცა, გზადა და კვალი აერია, გადოუხვია ტყისაკენ, გადაუცდა ფეხი და ნაპრალში ჩაიჩეხა!...

მწყემსებმა ღმერთს მადლი შესწირეს, ავიდენ სათეოზე და დაიძინეს. ძილში მამამ იძილის პირისა, რომ ვითომც მას სხვაგან მყოფობის დროს ფარა დაღუპოდეს და წმინდა გიორგის უსაყვედურა: შე დალოცვილო გივორგივ! ეს რა მიყავი? მე შენი იმედი მქონდა, როგორც მფარველის და შენ კი აღარ მომხედე შენს მავედრებელს და ძონა მოსამსახურესო?.. გაეცინა წმინდა გიორგის და უთხრა მწყემსს: მართალია, სიტყვით ყოლიფერი ხარ, მაგრამ საქმით კი აღარაო! ის უცხო კაცი რომ იმდენხანს მგმობდა, რატომ თავი არ გამოიდევით ჩემი გულისათვის და არ ჩააწყვეტიეთ ხმაო?.. საქმე რომ ჩემზე მოაგდეთ, ბარში ჩამიყვანეთ და აქ კი, მთაში, მომაცდინეთ, არიცოდით, რომ ცხვრები სულ უპატრონოთ დარჩებოდენო? აქ რომ თქვენ ბარში გამოგეღოთ ხელი, იქ მთაში მე გიპატრონებდითო. მაშინ კი მიხვდა მეცხვარეც თავის დამნაშაობას და სთქვა: ეჰ, ეს სულ მისი ბრალია, რომ ჭკუა მთაში დავტოვე და ბარში უჭკუოდ ჩაველიო!.. რამ დამავიწყა მამა-პაპის ანდაზა: „ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოსძებნიანო? და მთაში რომ აღარ მოიცდის, ბარშიო!.. ამით დაიმშვიდა გული მეცხვარემ და განაგრძო ძილი!

მართლა რომ დიდი გამჭრიახობაა ამ ანდაზაში: იქ, სადაც მთაც არის და ბარიც, ხელი-ხელ ჩაკიდებული, და ერთმანეთს ჭკუას აწვდენენ, შიში არაფრის არ უნდა იყოს!.. მაგრამ იქ კი, სადაც ბარი უმთოა, კოტრიალა-ჭკუა თუ გამოდგება, თვარა სააღმაფრენო ვერა!.. და მიტომაც ბარელის ჭკუა რომ ერთხელაც იქნება, სხვას ფეხქვეშ არ მოექცეს, შეუძლებელია!...

ის მიმაჩნია კარგ ქვეყნად,
სადაც მთაც არის, ბარიცა!
და ქვეყნის მუშად—ვისაც კი
ცულიც უჭირავს, ბარიცა!

—

ჩვენ კი არც ერთი აღარ ვართ!
აღარც ესა გვაქვს, არც ისა!..
მაღლა ვერ ვსწვდებით, არც ძირს ვართ!
არც მიწისა ვართ, არც ცისა!..

—

ენათ ვართ გადაქცეული,
ჩვენისვე თავის მტერადა
და ჩვენი ავლა-დიდება
გვინდა ვაქციოთ მტვერადა.

—

ქალი აღარ ჰგავს დედასა
და ვაჟიშვილი-მამასა!
ველარ იცლიან საქმისთვის,
მოუნდენ მარტო ჰამასა.

—

სხვაგან ძღებიან, სხვის კარზე,
გარეშე მოწყალებითა,
თავისიანის გაწირვით,
სამკვიდროს ანაკლებითა!..

—

ველარც მთა გვშველის, ვერც ბარი
აღარსად ვეძებთ ჭკუასა!
მტერს ცულის-ტარად ვეყრებით
და თავში ვიცემთ ყუასა.

აკაკი.

ებულ ქუჩაში დახვედრია. ამას წინად მწერლობაში რუსეთის მართებლობას უჩიოდა, მამულები წამართვაო, ამბობენ, შეშლილიაო. ლჩი სასიკვდილოდ არ არის დაჭრილი. ექიმები ტყვიას იღებენ.

29 მაისი

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულობასთან 27 მაისით: «27 მაისს იაპონელთა ესკადრას სროლამ დასავლეთად სენიენჩენიდან და გაიჯოუდან არა ვითარიმე ზიანი არ მოგვაყენა, თუმცა კი დიდძალი ყუმბარა გადმოჰყარეს. ჩვენ მხოლოდ ერთი ლაზარეთის მსახური დაგვიჭრეს და ორი ურემი დაგვიზიანვს. 27 მაისს დილით ზღვის პირად სიწყნარე იყო; მტრის რამდენიმე გემი ნაპირის მოშორებით დგას. 25 მაისს იაპონელებმა აუჩქარებლად წინ წამოწევა დაიწყეს სიუანისაკენ დაგუშანისა და ფინხუანჩენის გზითა. ჯერ არ იყვნენ მოსულნი რვა ვერსის მანძილზე, რომ 26 მაისს დილით წამოვიდნენ სიუიანზე. 11 საათზე იაპონელნი ქალაქის წინ გაჩნდნენ სამხრეთით, მაგრამ ჩვენმა ბატარეიამ შეაყენა. ამის შემდეგ იაპონიის ქვეითა ჯარი ფინხუანჩენის გზით წავიდაო.

ყაზახებმა, რომელთაც ულელტეხილი ეჭირათ, ორი საათის ბრძოლის შემდეგ, უკან დაიწიეს და ულელტეხილს დაუშინა ყუმბარა ჩვენმა ბატარეიამ და არ მისცა იაპონელებს ნება იქ შეჩერებისა, ამ ამ დროს სამხრეთად იაპონიის სამთო ბატარეიამ დაიჭირა პოზიცია, მაგრამ რამდენისამე სროლის შემდეგ ჩვენმა ბატარეიამ ჩააჩუმა. იაპონიის მეორე ბატარეიამ სულაც ვერ მოასწრო სროლა და იძულებული გახადა დაეცალა პოზიცია, რადგან ჩვენმა ბატარეიამ სროლით აღარ მოუსვენა. აღმოჩნდა, რომ იაპონელებს გარე შემოვლა უნდოდათ და გზის გადაჭრა, ამისაგამო ყაზახებმა უკან დაიწიეს, ესე რვა ვერსზე სიუანჩენიდან, და მტერს 600 საჟენის სიშორიდან ესროდნენ ყუმბარებსა. ნაშუადღევის ხუთს საათზე სროლა შეწყდა. ჩვენი ზარალი: დაჭრილია ვოისკოვოი სტარშინა ჩერემისინოვი და ხორუნჟი კომაროვსკი, რომელნიც ადგილზედვე დარჩნენ, მოკლულია ერთი, ხოლო დაჭრილა 17 ყაზახი. იაპონელებს დიდი ზარალი უნდა მოსვლოდათ, რადგან ჩვენი ყუმბარები შიგ იმათ შეჯგუფულ ჯარში ვარდებოდა. რაზმის უფროსი მოწმობს, აფიცრები და ჯარის-კაცნი მამაცად იბრძოდნენ, განსაკუთრებით ვოისკოვი სტარშინები გავრილოვი და ჩერემისინოვი, პოდ-ესაულნი სემენოვი და კოლოსოვსკი, შტაბ-როტმისტრი რჟევსკი, ხორუნჟი კომაროვსკი და გენერალურ შტაბის პოდპოლკოვნიკი პოსოხოვი. როგორც დავრწმუნდით, ყაზახებს ჰქონდათ ბრძოლა იაპონელთა მე-10 დივიზიასთან. 25 მაისს ტაფანგუსთან ერთი მსროლელი დაგვიჭრეს, ხოლო იაპონელებს კი, როგორც ამბობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, 40 მოუკვდათ და დაეჭრათო. სიმაძთან მომხდარ ბრძოლის ამბები: 25 მაისს, დილის 5 საათზე, ერთ როტას აინამონის გზაზე თავს დაესხა მტერი. ამას მივაშველეთ შემწეობა; იაპონელები ძალიან შეავიწროვეს, ბევრი ზარალი ნახეს, წამოიღეს თოფები და დახოცილთა იარაღი, მაგრამ ჩვენის ბატალიონის ზედმისევა შეაყენა მტრის ძლიერმა სროლამ, აღმოსჩნდა, რომ მტერს ჰყავდა ერთ ბრიგადამდე ქვეითა ჯარი, ორი ბატარეია და სამი ესკადრონი. რაზმის უფროსმა უბრძანა, ფინსულინის ულელტეხილისაკენ დაეწიათ. რაზმმა დიდის წესიერების დაცვით დაიწია, დაჭრილია შტაბს-კაპიტნები მაკაროვი და სიკუნი და პორუჩიკი რუჟიცკი. ჯარისკაცთაგან ასამდეც დაჭრილი და მოკლულია. მტრის ზარალი დიდია. როგორც დახოცილ იაპონელთა ტანთსაცმელს შევატყეთ, ჩვენ წინააღმდეგ მეთორმეტე დივიზიის ნაწილი იბრძოდა, რაზმის უფროსი აქებს სიდინჯეს და ვაჟკაცობას ჯარისას, აგრეთვე დიდის ქებით იხსენიებს წითელი ჯვრის რაზმის მოქმედებასა“.

**ბელგრადი.** სერბიის მთავრობამ ნება არ მისცა კონცერტი გაემართათ სამხედრო კლუბში მეფე-დედოფლის დახოცვის წლის თავის გამო.

**ბერნი.** საკავშირო საბჭოს საგანგებო კრებამ დაადგინა, ილნიცკი პროკურორს გადაეცეს და თანაგრძნობა განუცხადოს ედანოვის სახლობასა და რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. პროფესორ კოხერმა ტყვია ამოაცალა. იმედი აქვთ მორჩენისა, თუ რომ ანთება არ გაუჩნდა. შეკრებილ ცნობებით, ილნიცკი ოსმალეთის ქვეშევრდომია.

**მუკდენი.** (საკუთ. კორესპ.). ცნობები მოვიდა, რომ ჩვენი რაზმი, რომელიც აპრილის ბოლოს ანჯუს დასცემია და, იაპონელების ცნობებით, მტერს მოუმწყვდევია, ეხლა თავისუფალია, ხოლო ცოტათ დაზიანებულა.

**ორიოლი.** ხელმწიფე იმპერატორის მოსვლის სახსოვრად ქალაქის საბჭომ დაადგინა ბულვარს ნიკოლოზის სახელი უწოდოს და ღარიბ მოქალაქეთ სამასი თუმანი წინა წლების გარდასახადი აპატიოს.

**ტოკიო.** (ოფიციალურად). გენერალ კუროკის მოხსენება: მოგვიკლეს ორი აფიცერი და 23 დაბალი ჯარის კაცი, 5 ჯარის კაცი ტყვეთ წაიყვანეს.

კუროკის ლაშქარმა, რომელსაც დაგუშანთან გადასული ჯარიც შეუერთდა, სიუიანი დაიჭირა და მტერი უკუაქცია ტანშენსა და გაიჯოუსკენ. იაპონელებს მოუკლეს 3 კაცი, 1 პორუჩიკი და 1 უნტერ-აფიცერი, 28 კაციც დაჭრილია.

**ფუზანი.** რუსები წინ მიდიან. ფინსუი-ლინის მთას მიაღწიეს. ახალი ჯარიც მიემატათ. ჯარი, ლიაოიანიდგან საიმაძოზე წასული, ფინ-ხუან-ჩენს გარს შემოუვლის. ყაზახები წინ მიუძღვიან. გზა და ჯეობები მუკდენიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ ძლიერ რაზმებს უჭირავთ.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). მანჯურიაში იაპონიის ლაშქრის მთავარ-ბანაკთან მყოფი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, ფუზანზე პირველი ლაშქარი ეხლახან დაიძრა და წინ მიდისო. ორს დღეში 4 დასა გაემგზავრა ლიაოიანს, ხაიჩენს, სამასა და სიუანის, რამდენიმე ქალაქში დაიჭირა და რუსები უკუაქცია. რამდენიმე ცხარე შეტაკება ჰქონდათ. იაპონელება 65 კაცი დაჰკარგეს.

**ვიქტორია.** (ბრიტანიის კოლუმბა) (რეიტ. სააგ.). იაპონელთა აგენტებს ბრიტანიის კოლუმბიასა და ვაშინგტონის შტატში ექვსი ათასი ტონნი ფქვილი დაუკვეთნიათ, რომელიც გემებით პორტარშურს უნდა მიიტანონ და გადასცალონ ექვსის კვირის განმავლობაში. დაჰპირებიან, რომ ამ ვადის გასვლამდე ყოველი დაბრკოლება აცილებულ იქმნებაო.

**ვენა.** მარიენბადიდგან იუწყებიან, სპარსეთის საელჩოს წევრებს აგვისტოს ბოლო რიცხვებიდგან სადგომი დაუქირავებიათ სპარსეთის შაჰისათვის.

**სტამბოლი.** ბულგარიის ელჩმა ნაჩევიჩმა მოხსენება წარუდგინა პორტას იმის შესახებ, რომ სამთავროს მართებლობამ სასტიკათ აკრძალა ასაფეთქებელ ნივთიერების გადატანა ბულგარიიდგან ოსმალეთში. გამოირკვა, რომ ამას წინად სადგურ გევგელზე აფეთქებული ჯოჯოხეთური მანქანა ბულგარიიდგან ყოფილა გაგზავნილი.

29 მაისი

**პეტერბურგი,** გაზეთ „ს.-პეტ. ვედ.“-ის, რომელმაც დაჰბეჭდა წერილი სათაურით „Замѣтки“ და ტყუილა-უბრალოდ ააშფოთა საზოგადოების აზრი და გრძნობა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა გამოეცხადოს მეორედ გაფრთხილება.— 13 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ დროებითის დებულების თანხმად, რომელიც შეეხება რუსეთ იაპონიის ომში შეპყრობილ ტყვეებს, 28 მაისს დაარსდა რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების მთავარ-სამმართველოს აღმასრულებელ კომისიასთან უმთავრესი ცნობათა ბიურო ტყვეთათვის (პეტერბურგი, პანტელეიმონის ქუჩა, № 5.) ამასთანავე დაარსდება ადგილ-ადგილ ცნობათა შესაკრები ბიუროები რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების მთავარ-სანდო კაცთა ზედამხედველობით ირკუტსკში, ჩიტას, უსურაის ნიკოლსკში და ხარბინს. ცნობათა ბიურონი შეაგროვებენ და შეინახავენ ცნობას ტყვედ შეპყრობილთა შესახებ, რუსთა თუ იაპონელთა- ეს ბიურონი შუამავალნი იქმნებიან, რამდენადაც შესაძლო იქნება, ტყვეთა და მათ მშობელ-ნათესავთა შორის.

**ბერლინი.** დამნაშავე, რომელსაც უნდოდა რუსეთის ელჩის მოკვლა რუსის აფიცრად ნამყოფი, ხოლო ეხლა ოსმალეთის ქვეშევდრომი, როგორც ეტყობა, შეპყრობილი ყოფილა იმ სენით. რომელსაც ეწოდება მანია დევნისა. ტყვია მოხვდა საფეთქელში, მაგრამ ძვალი ვერ გასტეხა და თუ ჭრილობა არ გართულდა, ჟადოვსკი რამდენიმე დღის შემდეგ მორჩება, განძრახვას მკვლელობისას არა აქვს არც ანარქიული და არც ნიგილისტური ხასიათი.

**რომი.** ბოლონიასა, ფლორენციასა და პრატოში მცირე მიწის ძვრა იყო.

**ლონდონი.** ერცჰერცოგ ფრიდრიხს პატივის საცემლად დღეს ალდერშოტში პარადი იყო, რომელსაც დაესწრო პრინცი უელსისა და ჰერცოგი კონნაუტისა.

**ბელგრადი.** დღეს 28 მაისს გარდაიხადეს პანაშვიდი განსვენებული მეფე ალექსანდრეს ადიუტანტის ნაუმოვიჩისა, რომელიც შარშან 29 მაისს ღამით მოკლულ იქმნა. პანაშვიდს დაესწრნენ მინისტრ-პრეზიდენტი, მეფის ადიუტანტი პეტრე ნენადოვიჩი, ქალაქის პრეფექტი და მრავალი აფიცრობა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

28 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | $45,97^{1}/_{2}$ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37,55^{1}/_{2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7^{1}/_{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $91^{1}/_{2}$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $87^{1}/_{4}$ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 375 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | $88^{1}/_{2}$ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---


# განცხადებანი



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**В. М. МИРИМАНЬЯНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—25)

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| ძირითადი თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლში, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—32)

---

ძალიან საჭიროა ოქრო და ბრილიანტი

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**

**მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით**

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 ძაფისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

# იაფი გარნიტური

**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს-რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава 32/323*

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)

---

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

# „ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილ იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108.

(5—6.—5)

---

სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპარფიუმერიო სამკაული თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.


Дозволено цензурою Тифлисъ 29 мая 1904 г. Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.